ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2200129

ნომერი: AR1340702

თარიღი : 10.09.2015

გაცემის თარიღი : 21.09.2015

გაცნობის თარიღი : 21.09.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N199 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიო ჟორდანია პ/ნ 01012015959
- თბილისი ვარკეთილის IV მ/რ III კვ. კორ. 12 ბ. 39

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურში შემოსულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის N38/10032 14.09.2015 წლის წერილი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილი ლანდშაფტური მშენებლობა უკვე ნაწარმოებია. შესაბამისად `მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და საჭიროების შემთხვევაში დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდგომ. იმ შემთხვევაში თუ სამუშაოები დაწყებული არ არის წარმოადგინეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი აქტი.

ამასთანავე ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები:

– წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი და სიტუაციური გეგმა საპროექტო სამუშაოების დატანით.

გაითვალისწინეთ, რომ სერვიტუტით დატვირთულ ტერიტორიაზე არც ხრეშის დაყრა და არც გამწვანების მოწყობა არ უნდა განხორციელდეს. "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილებით საზოგადოებრივი სივრცე განმარტებულია, როგორც განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა ტიპის სივრცეები. სერვიტუტზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დაუშვებელია. ამჟამად წარმოდგენილი წერილის თანახმად, შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს ნებას გაძლევთ დროებითი შენობის განთავსებაზე. თანხმობა გაცემული უნდა იყოს უშუალოდ ხრეშის დაყრაზე. გამწვანება კი სერვიტუტით დატვირთულ ტერიტორიაზე ამოღებულ იქნას საპროექტო დოკუმენტაციიდან.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.